ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 354

7 დეკემბერი
"___" _____ 2018 წ

ქ. თბილისი

ქალაქ თბილისში, ჯავახეთის ქ. კორპუს №29-ში (საკადასტრო კოდი: №01.19.20.009.003.01.503) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 75-ე მუხლის „დ.ა" ქვეპუნქტის, 118[1] მუხლის პირველი და მესამე პუნქტების და „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 12 აგვისტოს №21-85 დადგენილებით დამტკიცებული წესის პირველი მუხლის მე-3 პუნქტის, მე-2 მუხლის პირველი და მე-6 პუნქტების შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, „ქალაქ თბილისში ჯავახეთის ქ. N29-ში (საკადასტრო კოდი: 01.19.20.009.003.01.503) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2018 წლის 26 სექტემბრის №18.800.1147 განკარგულებით გათვალისწინებული უძრავი ქონების: "ქ. თბილისში, ჯავახეთის ქუჩა, კორპუს №29-ში, I სართულზე მდებარე 44.00 კვ.მ. ფართის მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი: №01.19.20.009.003.01.503) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზებაზე, მოქალაქე იოსებ ციცქიშვილისთვის (პ/ნ 57001012815) გასაფორმებელი, ზემოაღნიშნული განკარგულების დანართით წარმოდგენილი ხელშეკრულების პროექტის შესაბამისად.

2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ., №6).

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძე